[redacted]

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

69487513679812

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120820655

რეგისტრაციის თარიღი

03.08.2012 წ

ნოტარიუსი: ციური ბერიძე
მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
ტელეფონი: 2-23-08-90.

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათასთორმეტი წლის სამ აგვისტოს, მე-ციური ბერიძეს, ნოტარიუსს საქართველოში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №68-ში, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა საქართველოს მოქალაქე-ქალბატონი **ნანი გეთიამ** დაბ. 1958 წლის 23.05, პირადი № 01017001669, რომელმაც განაცხადა, რომ იმყოფება დიდ ბრიტანეთში, ქ. ლონდონში და სურს ნოტარიუსის წინაშე, ონლაინ რეჟიმის წესით დაადასტუროს მინდობილობა სანოტარო წესით. დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მომმართა ნანი გეთიამ.

სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდნენ:

ქალბატონი **ლუდმილა გაბისონია** დაბ. 1945 წლის 22.06, პირადი № 01017016924
ქალბატონი **იზოლდა კიკვიძე** დაბ. 1941 წლის 15.07, პირადი № 01009000665

მე შევამოწმე მათი პირადობა. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

ნანი გეთიას პიროვნების იდენტურობა დადგენილია სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზის მეშვეობით.

ქალბატონმა ნანი გეთიამ მინდობილობის ტექსტი მიკარნახა ხელისმომწერისა და მოწმის თანდასწრებით. შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე მარწმუნებელს, მან დამიდასტურა, რომ მასში ასახული, სრულიად შეესაბამება მის სურვილს, მინდობილობის ტექსტის კარნახისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების ქვეშ.

მინდობილობაზე ხელმოწერას ანდობს ქალბატონ ლუდმილა გაბისონიას, რის შემდეგ მინდობილობაზე მარწმუნებლის ნდობით აღჭურვილმა პირმა- ლუდმილა გაბისონიამ და მოწმე-იზოლდა კიკვიძემ ხელი მოაწერეს ჩემი – ნოტარიუსის თანდასწრებით.

მინდობილობა

ორიათასთორმეტი წლის სამ აგვისტოს, ქალბატონმა **ნანი გეთიამ** დაბ. 1958 წლის 23.05, პირადი № 01017001669, შემდგომში "მარწმუნებელი", სრული უფლებამოსილება მიანიჭა ქალბატონ **მარიამ ფრიდონაშვილს** დაბ. 1954 წლის 26.01, პირადი № 01011023257 შემდგომში "რწმუნებული".

იყოს წარმომადგენელი კომპეტენტურ ორგანიზაცია - დაწესებულებებში ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, შემოსავლების სამსახურში, უძრავი ქონების მარეგისტრირებელ ორგანოში, სამოქალაქო რეესტრში, საჯარო რეესტრში, შსს და იუსტიციის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებულ ნებისმიერ უწყებებში, სახელმწიფო არქივებში, ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, ელ.ენერგიის, ბუნებრივი აირის და კომუნალური მომსახურების სამსახურებში, ნებისმიერი სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებში, მისი კუთვნილი დოკუმენტაციის გაფორმებისას, ხელი მოაწეროს მარწმუნებლის მაგიერ ნებისმიერ გარიგებას, ხელშეკრულებას, თანხმობას და განცხადებას.

შეიძინოს საქართველოს ნებისმიერ რეგიონში უძრავი და მოძრავი ქონება, რომლის პირობები და ხარისხი განსაზღვროს თავისი შეხედულებისამებრ. იყოს წარმომადგენელი უძრავი ქონების მარეგისტრირებელ ორგანოში, ნებისმიერ უძრავ ქონებაზე ამონაწერის მიღების და გარიგების დადების უფლებით. გააუქმოს ადრე დადებული გარიგებები.

განკარგოს მარწმუნებლის კუთვნილი უძრავი და მოძრავი ქონება, რაც მოიცავს უძრავი ქონების დარეგისტრირებას საჯარო რეესტრში, ამონაწერის მიღებას, გაყიდვას, გაქირავებას, იპოთეკით დატვირთვას, დაგირავებას გაჩუქებას, და ნებისმიერ აქტს უძრავ-მოძრავ ქონებასთან

მიმართებაში. დადოს კანონით ნებადართული გარიგებები, რომლის პირობები და ფასი განსაზღვროს თავისი შეხედულებით, მიიღოს გასხვისებული, გაქირავებული, დაგირავებული, იჯარით გაცემული ქონების საზღაური.

რწმუნებული უფლებამოსილია ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, მარწმუნებლის პირად ანგარიშებზე არსებული თანხების განკარგვაში, რაც მოიცავს ნაღდი თანხის მიღებას, შეტანას, გადარიცხვას, გადაგზავნას, გზავნილის მიღებას, სადეპოზიტო ხელშეკრულების გაფორმებას, გაუქმებას. ნებისმიერი ტიპის ანგარიშის გახსნას, ბარათის დამზადებას და გატანის უფლებას, მათ შორის დაკავებული ბარათის მიღებას, ინფორმაციის მიღებას, ხელის მოწერას საბანკო მომსახურებიდან გამომდინარე ნებისმიერ დოკუმენტზე.

მართოს და განაგოს საქართველოში არსებული მარწმუნებლის კუთვნილი ქონება, რაშიც არ უნდა გამოიხატებოდეს იგი და ყველა იმ უფლებებითა და მოვალეობებით, რაც გააჩნია მარწმუნებელს ამ ქონებასთან მიმართებაში, მათ შორის ნებისმიერი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის საზოგადოებებში, კრებებზე მონაწილეობის, ნებისმიერ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისა და კრების ოქმზე ხელმოწერის უფლებით.

არავის არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი.

რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ნებისმიერ მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განსახორციელებლად.

მინდობილი უფლებამოსილება რწმუნებულს შეუძლია განახორციელოს ერთი წლის მოქმედების ვადით.

მინდობილობა ხელმოწერილია სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი მიეცა ხელზე რწმუნებულს

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. № 507 დადგენილების 32 -მუხლის საფუძველზე-50 ლარი, მუხლი 39-ის საფუძველზე- 2 ლარი- ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის და დღგ-9 ლარი, საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, სულ-61 ლარი.

ლუდმილა --- გაბისონია --- განმცხადებლის ნაცვლად, მისივე თხოვნით
ლუდმილა გაბისონია

იზოლდა --- კიკვიძე ------ მოწმე - იზოლდა კიკვიძე

NOTARY TSIURI ... 0150301285

ნოტარიუსი- [illegible] ბერიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N130434154
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	02.05.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	სანოტარო არქივში დაცული დოკუმენტის ასლის ან ამონაწერის გაცემა
ნოტარიუსი	ციური ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2-23-08-90.
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	49764996533013

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

[redacted]



